საქართველოს
იუსტიციის
სამინისტრო

საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტო

ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შექმნისა და განვითარების სამთავრობო კომისია

გეოინფორმაციული სისტემების (GIS) თემატური სამუშაო ჯგუფი

სხდომის ოქმი #2

თბილისის იუსტიციის სახლი
10 ნოემბერი, 2014 წელი

სხდომა დაიწყო: 15:00

სხდომა დასრულდა: 17:00

სხდომის თავმჯდომარე:

ვლადიმერ ჩხაიძე	იუსტიციის სამინისტრო, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, გეოინფორმაციული სისტემების (GIS) თემატური სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი
გიორგი პეტრიაშვილი	იუსტიციის სამინისტრო, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, სამთავრობო კომისიის სამდივნო

სხდომის მდივანი:

მარიკა აბულაძე	იუსტიციის სამინისტრო, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

სხდომას ესწრებოდნენ თემატური სამუშაო ჯგუფის წევრები:

ირაკლი ლეჟავა	იუსტიციის სამინისტრო, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
თამარ კენკებაშვილი	იუსტიციის სამინისტრო, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
გალაქტიონ ხახუბია/ წარმომადგენელი ირაკლი გოცაძე	იუსტიციის სამინისტრო, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
გიორგი ტაბატაძე	იუსტიციის სამინისტრო, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
ზაზა გაგუა	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო
გიორგი გელაძე	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
ვიტალი მაჭავარიანი	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
იოსებ ქინქლაძე	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
ვახტანგ გლოველი	შინაგან საქმეთა სამინისტრო, საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი
თეონა ცოცხალაშვილი	სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მიწათსარგებლობის სამმართველო
გიორგი ბასიაშვილი	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
გიორგი მიქაია	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემები

გიორგი ზედგინიძე	თავდაცვის სამინისტრო, ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ტოპოგრაფიული სამმართველო
ლალი მაძღარაშვილი	კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
მერაბ ლილუაშვილი	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
ალექსანდრე ბაქანიძე	ენერგეტიკის სამინისტრო, ენერგეტიკული დეპარტამენტი
ნინო კოხრეიძე	ენერგეტიკის სამინისტრო, ენერგეტიკული დეპარტამენტი
ნიკოლოზ ბერუჩაშვილი	ენერგეტიკის სამინისტრო, სააქციო საზოგადოება ნავთობისა და გაზის კორპორაცია
დავით ჭულუხაძე	სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, ადმინისტრაციული დეპარტამენტი
გიორგი გიგაური	ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, უძრავი ქონების რესტიტუციის სამმართველო

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები:

გიორგი ბაქანიძე	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

სხდომის დღის წესრიგი:

1 NSDI-ს კონფერენცია/სემინარი

2 სივრცითი მონაცემების თემატური ნაკრებების პირველი რიგის დარგობრივი პრიორიტეტები, სამინისტროს საქმიანობისას საჭირო სივრცითი მონაცემების კომპონენტის გათვალისწინებით.

3 შემდგომი საქმიანობების დაგეგმვა

სხდომის ძირითადი შინაარსი:

სხდომა გახსნა სამთავრობო კომისიის სამდივნოს ხელმძღვანელმა იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სივრცითი ინფორმაციის სამსახურის უფროსმა გიორგი პეტრიაშვილმა. მან ისაუბრა NSDI-ს კონფერენცია/სემინარის შესახებ, რომელიც უნდა გაიმართოს მიმდინარე წლის დეკემბერის დასაწყისში, სადაც თითოეული სამინისტრო, NSDI-ს თემატიკასთან ასოცირებით (მეტამონაცემები, სივრცითი მონაცემები და ელ. სერვისები, ქსელური მომსახურება,

მონაცემებსა და ელ. სერვისებზე წვდომისა და განფასების პოლიტიკა, მონიტორინგისა და ანგარიშგების ღონისძიებები), წარმოადგენს საკუთარი საქმიანობის შესახებ პრეზენტაციას შემდეგი ექვსი კომპონენტის გათვალისწინებით:

1. **სამართლებრივი რეგულაციები** - ნორმატიული აქტების ბაზა, რაც არეგულირებს ამა თუ იმ სამინისტროს და მის სტრუქტურაში შემავალი უწყებების (სსიპ, სააქციო საზოგადოება, შპს, საქვეუწყებო დაწესებულება და სხვა) დარგობრივ გეოგრაფიულ მონაცემებს, ელ-სერვისებს ან/და მათთან ასოცირებულ საქმიანობებს.

2. **გეოგრაფიული მონაცემები** - სამინისტროს ან მის სტრუქტურაში შემავალი უწყებების (სსიპ, სააქციო საზოგადოება, შპს, საქვეუწყებო დაწესებულება და სხვა) მიერ წარმოებული დარგობრივი გეოგრაფიული მონაცემები. პრეზენტაციის აღნიშნული ნაწილი წარმოდგენილი უნდა იყოს თითოეული მსხვილი თემატური მიმართულებისთვის ცალ-ცალკე (მაგალითად, იუსტიციის სამინისტრო, მის გარემოში არსებული მსხვილი მიმართულებების გათვალისწინებით, წარადგენს მოხსენებებს გეოდეზიის, კარტოგრაფიის, კადასტრის, დამისამართების, მონაცემთა გაცვლის და სხვა თემატიკის დარგობრივი მონაცემების შესახებ).

   - ამ მიმართულებით დასრულებული, მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების/საქმიანობები, რომელიც შეხებაშია NSDI-ს თემატიკასთან.

   - რა მონაცემი იწარმოება შიდაუწყებრივად (წარმოების ტექნოლოგიები და მეთოდები, სრული ციკლი დაწყებული მონაცემების შეგროვებით, დამთავრებული ხარისხის კონტროლით და არქივირებით), რა მონაცემს საჭიროებს სხვა სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურებიდან. როგორ ხდება მონაცემების გაცვლა, რამდენად ვალიდურია მიღებული მონაცემები, შეესაბამება თუ არა მონაცემების ხარისხი გამოყენების მიზნებს. ასევე, აღნიშნულ პროცესებთან დაკავშირებული ხელისშემშლელი ფაქტორები და სხვა).

   - როგორ ხდება გეოგრაფიული მონაცემების აღწერა/დოკუმენტირება - როგორია ფორმატი (შეიძლება დიდი ალბათობით ინფორმაცია არ არსებობდეს შესაბამისი სახით, მაგრამ იყოს არქივი, საიდანაც ფასდაუდებელი ინფორმაციის ამოღება იყოს შესაძლებელი).

3. **IT მიმართულება** - სამინისტროს ან მის სტრუქტურაში შემავალი უწყებების (სსიპ, სააქციო საზოგადოება, შპს, საქვეუწყებო დაწესებულება და სხვა) გეო და IT ინფრასტრუქტურის შესაძლებლობების მიმოხილვა მონაცემთა გაცვლისა და გაზიარების კუთხით. ინფორმაცია, გეოგრაფიულ მონაცემებთან დაკავშირებულ, იმ სერვისების და მათი ფორმატის შესახებ, რომლებიც გაიცემა სახელმწიფო ინსტიტუტებისთვის ან მოქალაქეებისთვის ან შიდაუწყებრივად ან დაგეგმილია, რომ გაიცეს მომავალში.

4. **ბიზნეს მოდელი** - სამინისტროს ან მის სტრუქტურაში შემავალი უწყებებში გეოგრაფიულ მონაცემებთან ასოცირებული არსებული სერვისების ტიპები (იქნება ეს შიდაუწყებრივი თუ ონლაინ სერვისი), მათი ანალიზი. არსებობის შემთხვევაში ფასიანი სერვისები, ფასწარმოქმნის პოლიტიკა და მექანიზმები.

5. **საზოგადოებასთან ურთიერთობა** - მცირე ანალიზი. კონკრეტული სამიზნე ჯგუფების იდენტიფიცირება და ასევე დაინტერესებული სექტორის განსაზღვრა. თუ ვინ არიან ან ვინ ესახება სამინისტროს მის მიერ წარმოებული მონაცემების ძირითად მომხმარებლად შიდაუწყებრივად, სხვა სახელმწიფო ინსტიტუტებიდან, დარგობრივი ჯგუფებიდან ან საზოგადოებრივი სექტორიდან.

6. **დასკვნითი ნაწილი** - თითოეული სამინისტროს კონცეპტუალური ხედვა NSDI-ს

განვითარებასთან დაკავშირებით. პროექტის განხორციელების შემდეგ რა მოთხოვნები/მოლოდინები აქვს თითოეულ სამინისტროს საკუთარი დარგობრივი საქმიანობებიდან გამომდინარე.

ასევე, ზემოაღნიშნულ თემატიკებთან ასოცირებული ნებისმიერი სხვა საკითხი, რომელიც მნიშვნელოვანია სამინისტროს საქმიანობიდან გამომდინარე.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა, რომ თემატურ ჯგუფს, განსაზღვრული ამოცანებიდან და საქმიანობებიდან გამომდინარე მოუწევს დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულება. პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის თითოეული სახელმწიფო უწყების მაქსიმალური ჩართულობა და მჭიდრო თანამშრომლობა ძალიან მნიშვნელოვანია. ჯგუფის მიმართ დასმული ამოცანების დროულად შესრულების, ასევე, **ჯგუფის სტაბილურობის მიზნით უმჯობესია უმოკლეს ვადაში განხორციელდეს კანდიდატურებთან დაკავშირებული ცვლილებები, რადგან ისევ თავიდან არ იყოს აუცილებელი უკვე განვლილი თემების ისევ წინ წამოწევა.**

სამთავრობო კომისიის მიერ, გეოინფორმაციული სისტემების (GIS) თემატური ჯგუფისთვის, დასახული სტრატეგიული ამოცანებიდან გამომდინარე, ისაუბრა თემატური ჯგუფის მიმართ წინა შეხვედრაზე ჩამოყალიბებული რეკომენდაციების შესახებ, რომელიც შეეხებოდა: INSPIRE-ს ვებ-გვერდის ანალიზს, საბაზისო სივრცითი მონაცემების თემატური ნაკრებების პირველი პრიორიტეტების განსაზღვრას სამინისტროების დარგობრივი სფეროების და საქმიანობის პროცესში საჭირო სივრცითი მონაცემების კომპონენტების გათვალისწინებით. აღნიშნა, რომ სასურველია, GIS ჯგუფის თითოეულმა წევრმა, იგივე სამინისტროს წარმომადგენელ საკანონმდებლო ჯგუფის წევრთან ერთად სამინისტროს სტრუქტურისა და საქმიანობის მიმართულებების გათვალისწინებით ჩამოაყალიბოს შესაბამისი სივრცითი მონაცემების თემატური ნაკრებების ნუსხა. ისაუბრა იმ პარამეტრებზე, რაც უნდა გაითვალისწინონ რომ გაუადვილდეთ მონაცემების იდენტიფიკაცია. უფრო კონკრეტულად კი, ჯერ ჩამოაყალიბონ იმ მონაცემების ჩამონათვალი, რასაც აწარმოებს ესა თუ ის უწყება, საჯარო არის თუ არა აღნიშნული ინფორმაცია. შემდეგ ჩამოთვალონ ის მონაცემები, რაც აუცილებლად ესაჭიროებათ საქმიანობისას.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ შემდეგ საკითხზე ისაუბრა GIS თემატური ჯგუფის ხელმძღვანელმა, იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის გეოინფორმაციული სისტემების მთავარმა არქიტექტორმა ვლადიმერ ჩხაიძემ. მან ჯგუფის წევრებს მისცა მიმართულება სივრცითი მონაცემების თემატური ნაკრებების დარგობრივი, პირველი რიგის პრიორიტეტების განსასაზღვრავად. წარუდგინა მათ INSPIRE-ს 34 თემატური ნაკრები, რომლებიც გადანაწილებულია სამ დანართში და მისცა რეკომენდაცია, გაეცნონ აღნიშნულ ნუსხას. რის შემდეგაც მათთვის ბევრად უფრო მარტივი იქნება მონაცემების თემატიკის ჩამოყალიბება.

ჯგუფის წევრების მიერ აღნიშნულ იქნა, რომ კარგი იქნებოდა მიმდინარე პროცესებში ჩართულიყვნენ ტურიზმის ეროვნული სააგენტოსა და თბილისის მერიის წარმომადგენლები.

გამოითქვა მოსაზრებები, რომლებიც შეეხებოდა საბაზისო სივრცითი მონაცემების თემატური ნაკრებების დარგობრივი პირველი რიგის პრიორიტეტების განსაზღვრას, მონაცემებში საიდუმლო ინფორმაციის კომპონენტის გათვალისწინებას, NSDI-ს კონფერენცია სემინარის თემატიკას, მოხსენებების შინაარსს, ხანგრძლივობას, ვადებს. თემატური სამუშაო ჯგუფის წევრები შეთანხმდნენ, რომ შემდეგი შეხვედრა გაიმართოს დაახლოებით ორი კვირის ვადაში.

თემატური სამუშაო ჯგუფის სხდომის გადაწყვეტილება:

1 ჯგუფის თითოეულ წევრს მიეცა რეკომენდაცია, ერთი კვირის ვადაში თემატური ჯგუფის ხელმძღვანელს - ვლადიმერ ჩხაიძეს, ელექტრონული ფოსტის (vchkhaidze@napr.gov.ge) საშუალებით მიაწოდოს სივრცითი მონაცემების თემატური ნაკრებების ჩამონათვალი პირველი რიგის დარგობრივი პრიორიტეტების გათვალისწინებით. ასევე, მათი საქმიანობისათვის აუცილებელი სივრცითი მონაცემების ის თემატური ნაკრებები, რომლებსაც კურირებენ სხვა სამინისტროები ან ისეთი მონაცემების ნუსხა, რაც დღევანდელი მდგომარეობით არ არსებობს, მაგრამ არსებობის შემთხვევაში ძალიან გაამარტივებდა სამუშაო პროცესს.

2 თითოეულ წევრს მიეცა რეკომენდაცია, რომ სამინისტროების დარგობრივი სფეროებიდან გამომდინარე შემდეგი შეხვედრისთვის ჩამოყალიბებული ჰქონდეთ NSDI-ს კონფერენცია სემინარზე წარსადგენი მოხსენების ძირითადი "ჩონჩხი".

3 თითოეულ წევრს მიეცა რეკომენდაცია, დეტალურად გააანალიზოს თემატური ჯგუფის მიერ შესასრულებელი ამოცანები, რათა მომდევნო შეხვედრაზე განისაზღვროს ვადები კონკრეტული აქტივობების შესასრულებლად.

4 თემატური სამუშაო ჯგუფის თოთოეულ წევრს მიეცა რეკომენდაცია მეტი ინფორმირებულობისათვის გააანალიზოს INSPIRE-ს ვებ-გვერდი http://inspire.ec.europa.eu/

5 თემატური სამუშაო ჯგუფის მომდევნო შეხვედრა ჩაინიშნა დაახლოებით ორი კვირის შემდეგ.

სხდომის თავმჯდომარე:		/ ვლადიმერ ჩხაიძე /
		/ გიორგი პეტრიაშვილი /
სხდომის მდივანი:		/ მარიკა აბულაძე /